გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-03-25 **29 სექტემბერი, 2025 წელი**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემდეგი შემადგენლობა:

თავმჯდომარე - თეა ძიმისტარაშვილი (მომხსენებელი),
მოსამართლეები - მირანდა ერემაძე
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მ. ჯ

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ნ. გ-ე /სიითი №---/

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წარმომადგენლები - მ. ბ--ი, თ. ხ--ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის პირველი მაისის №052/24 გადაწყვეტილება

საჩივრის მოთხოვნა - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის პირველი მაისის №052/24 გადაწყვეტილების გაუქმება, უდანაშაულოდ ცნობა და საქმისწარმოების შეწყვეტა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი

1.1 ს. ბ-ა, მხარდამჭერის ლ. ყ---ს, დახმარებით, 2024 წლის 26 აგვისტოს საჩივრით მიმართა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ----ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მიმართვის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. გ--ე იყო ს. ბ--ს ადვოკატი და მეზობელთან ქონებრივ დავაზე წარმოადგენდა მისი და მისი დეიდის, ლ. ბ--ს

ინტერესებს. მოგვიანებით, გარდაცვლილი ლ. ბ--ს ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაზე, ნ. გ-მ დაიწყო ს. ბ--ს მოწინააღმდეგეების ინტერესების დაცვა და ს. ბ--სგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის მის საწინააღმდეგოდ გამოყენება. აღნიშნულ ფაქტზე 2019 წლის 20 დეკემბერს, ს. ბ----ა მხარდამჭერის, დ. ლ---, დახმარებით, საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიას. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2023 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებით, №158/19 დისციპლინურ საქმეზე დაადგინა ადვოკატ ნ. გ-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. კომისიამ დარღვეულად მიიჩნია ადვოკატის მიერ ს. ბ--ს, როგორც მისი ყოფილი კლიენტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და კლიენტისთვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები და ადვოკატ ნ. გ-ს განუსაზღვრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

1.3 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა არ იყო ადვოკატის დისციპლინური დარღვევების პროპორციული და შედეგიანი, რადგან მან გააგრძელა იგივე ქმედება. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისიის 2023 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა ადვოკატ ნ. გ--ს მიერ ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებულ №2/36758-18 საქმეზე წარმომადგენლობით, მის ყოფილ და ამჟამინდელ კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა და ადვოკატისთვისაც დადასტურებულად გახდა ცნობილი, მან არ შეწყვიტა წარმომადგენლობა და სამართალწარმოების აპელაციის ეტაპზე, მათ შორის, ორ სააპელაციო სხდომაში მონაწილეობით, გააგრძელა ს. ბ--ს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვა და, შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების დარღვევა. 2024 წლის 02 ივლისს, ლ. ყ----ა №2ბ/5985-23 საქმეზე ჩანიშნულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე წარადგინა ეთიკის კომისიის 2023 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილება და იშუამდგომლა ადვოკატ ნ. გ--ს საქმიდან ჩამოცილებაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. ს. ბ--ა ეთიკის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოითხოვა ადვოკატ ნ. გ---ისთვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

ადვოკატ ნ. გ-ის მოსაზრება:

2. ადვოკატის შეფასებით, ეთიკის კომისიას არ უნდა დაერეგისტრირებინა ს. ბ--ს საჩივარი, რადგან წარმოდგენილია ქმედუუნარო პირის მიერ. კერძოდ, ს. ბ---ი სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ ქმედუუნარო პირადაა ცნობილი და დანიშნული ჰყავს მხარდამჭერი. ვინაიდან, საჩივრის ავტორი ვერ აცნობიერებს საკუთარ ქმედებებს, ეთიკის კომისიამ არ უნდა გაიზიაროს მისი პრეტენზიები.

2.1 ადვოკატ ნ. გ--ს განმარტებით, ს. ბ--სა და მისი მხარდამჭერის - ლ. ყ--ს მიერ №052/24 საქმეზე დისციპლინური წარმოების ფარგლებში, 2024 წლის 26 აგვისტოს წარმოდგენილი საჩივარი და მასში მითითებული პრეტენზიები ანალოგიურია №158/19 დისციპლინური წარმოების ფარგლებში იმავე საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიებისა, რომლებზეც ეთიკის კომისიამ ერთხელ უკვე

იმსჯელა და 2023 წლის 08 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება. ადვოკატი არ დაეთანხმა აღნიშნული გადაწყვეტილებას და თვლის, რომ ს. ბ--ს მიმართ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და კლიენტისთვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები არ დაურღვევია, რადგან ს. ბ--ი მისი კლიენტი არასდროს ყოფილა და წარმომადგენლად, სამეზობლო დავაში ლ. ბ--ს თხოვნით, ფორმალურად იყო მითითებული და მინდობილობაც ფორმალურად ჰქონდა გაფორმებული. ადვოკატის განცხადებით, №158/19 დისციპლინურ საქმეში ასევე არასწორად დადგინდა, სამეზობლო და სამემკვიდრეო სასამართლო დავების ურთიერთკავშირიც, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებების დარღვევის დადგენას. ადვოკატის პოზიციით, შეუძლებელია აწ გარდაცვლილი ლ. ბ-ს ანდერძის ნამდვილობის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო დავაში მის წარმომადგენლობას წარმოეშვას ს. ბ--ს ინტერესებთან კონფლიქტი. მან ვერ ისარგებლა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით, რადგან კანონი მსგავს შემთხვევას არ ითვალისწინებს. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მისთვის გადაცემულ კერძო სარეკომენდაციო ბარათში ზოგადად ეწერა, რომ ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს წარმომადგენლობას და მასში კონკრეტულად არ იყო მითითებული, რომ ადვოკატ ნ. გ--ეს კონკრეტულ საქმეზე წარმომადგენლობით ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვა ს. ბ--სთან და წარმომადგენლობა უნდა შეეწყვიტა. ადვოკატის პოზიციით, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტი, რომ დაედგინა ეთიკის კომისიას, ის შეწყვეტდა წარმომადგენლობას. ამასთან, ადვოკატის განცხადებით, მას №2/36758-18 სამოქალაქო სამართლის საქმეში ადვოკატის სტატუსით მონაწილეობით, ს. ბ--სთვის ზიანი არ მიუყენებია.

3. საპროცესო კოლეგიამ 2024 წლის 22 ოქტომბერს გადაწყვეტილება მიიღო ადვოკატ ნ. გ--ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

ადვოკატის ნ.გ-ის შუამდგომლობები

3.1განხილვის კოლეგიამ სხდომა ჩანიშნა 2024 წლის 19 დეკემბერს, 13:00 საათზე. ადვოკატმა ნ. გ--მ, სხდომის დღეს, 19 დეკემბერს, 12:25 საათზე, ეთიკის კომისიის აპარატის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი განცხადებით განმარტა, რომ იმყოფებოდა „შრომისუუნარობის ფურცელზე“, რასაც ერთოდა №2019235 საავადმყოფო ფურცელი. განხილვის კოლეგიამ არ იმსჯელა ადვოკატის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზისა და სხდომის გადადების შესახებ შუამდგომლობაზე და კოლეგიის 2024 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინური საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

3.2 მოპასუხე ადვოკატმა შუამდგომლობით მოითხოვა - 2025 წლის 21 თებერვალს, 11:00 საათზე ჩანიშნული სხდომის გადადება და მტკიცებულებათა წარმოსადგენად დამატებითი ვადის განსაზღვრა. ამასთან, ადვოკატმა ეთიკის კომისიას მოსთხოვა მომდევნო სხდომის თარიღის განესაზღვრა: 05 მარტს, 12 მარტს ან 28 მარტს, რათა

მანამდე დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შეძლებოდა. ეთიკის კომისიამ იმსჯელა სხდომის გადადების შესახებ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა. სხდომა გადაიდო 2025 წლის 28 მარტს, 10:00 საათზე. ამასთან, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოსადგენად განესაზღვრათ დრო 2025 წლის 05 მარტამდე.

3.3 ეთიკის კომისიის სხდომაზე, ადვოკატმა ნ. გ--მ იშუამდგომლა ეთიკის კომისიის წევრების: კ. გ-ს, ე. მ–-ს, ა. კ–-ს, მ. ც--ს, ს. ს-, ე. გ-ს, მ. ნ-ს, ბ. ბ-ს, ი. ბ-ს, ო. კ-ა და ა. ხ-ს აცილების შესახებ. შუამდგომლობის თანახმად, №052/24 დისციპლინური საქმე ისე გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას, რომ ადვოკატს არცერთ სხდომაზე, მათ შორის არც საპროცესო სხდომაზე არ მიუღია მონაწილეობა, რადგან არ იყო მოწვეული.

3.4.1 ადვოკატი ნ. გ--ე კომისიის წევრების: კ. გ-ს, ე. მ–-ს, ა. კ–-ს, მ. ც--ს, მ. ნ-ს, ბ. ბ-სა და ა. ხ--ს აცილების დამატებით საფუძვლად მიუთითა, რომ მათ მონაწილეობა აქვთ მიღებული №158/19 დისციპლინური საქმის განხილვაში, სხვადასხვა ეტაპზე, სადაც უსაფუძვლოდ დადგინდა, რომ ადვოკატმა ნ. გ--ემ დაარღვია მისი ყოფილი კლიენტის, ს. ბ--ს მიმართ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და კლიენტისთვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები. მას პირადი კონფლიქტი ჰქონდა კომისიის წევრებთან კ. გ-თან და მ. ნ--თან, რის საფუძველზეც ისინი ჩამოცილებული არიან №032/21 დისციპლინური საქმის განხილვას. მოპასუხე ადვოკატი კომისიის წევრის, ო. კ--ს, აცილების კიდევ ერთ საფუძვლად უთითებდა 2004 წელს მიმდინარე დავას, რომელშიც ის და ო. კ–-ი მოწინააღმდეგე მხარეთა ინტერესებს იცავდნენ.

3.4.2 ეთიკის კომისიამ უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა კომისიის წევრების აცილების შესახებ მოპასუხე ადვოკატის შუამდგომლობები.

3.4.3 2025 წლის 28 და 31 მარტს, ადვოკატმა ნ. გ--მ იშუამდგომლა დამატებითი მტკიცებულებების სახით დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ. ეთიკის კომისიის მიერ მტკიცებულებათა წარსადგენად ხელმეორედ განსაზღვრული ვადის (07.04.2025) გასვლის შემდეგ, ნ. გ--მ 2025 წლის 11 აპრილს, 22 აპრილსა და 24 აპრილს წარადგინა დამატებითი მტკიცებულებების საქმეზე დართვის შესახებ შუამდგომლობები.

3.4.4 კომისიამ დააკმაყოფილა ადვოკატის მიერ 2025 წლის 28 და 31 მარტს წარმოდგენილი შუამდგომლობები მტკიცებულებათა დართვის ნაწილში და ზემოაღნიშნული დოკუმენტები დაერთო დისციპლინურ საქმეს. კომისიამ არ დააკმაყოფილა ადვოკატის მიერ 11 აპრილს, 22 აპრილსა და 24 აპრილს წარმოდგენილი შუამდგომლობები მტკიცებულებათა დართვის ნაწილში, რადგან აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი იყო მხარეთათვის ხელმეორედ განსაზღვრული ვადის დარღვევით და არარელევანტური იყო განსახილველ დისციპლინურ საქმესთან მიმართებით.

3.4.5 ნ. გ--მ იშუამდგომლა, მოწმის სტატუსით გამოკითხულიყვნენ მ. კ-ა, ბ. გ--ე და გ. ბ-ე. **კოლეგიამ არ დააკმაყოფილა მოწმეთა გამოკითხვის შესახებ მოპასუხე ადვოკატის**

შუამდგომლობები. კომისიის შეფასებით, ფაქტი, რომელზეც მოპასუხე ადვოკატი უთითებდა, არ იყო დაკავშირებული საჩივრის ავტორების პრეტენზიებთან და არარელევანტური იყო კომისიის განსახილველ საკითხთან.

3.4.6 ადვოკატმა იშუამდგომლა, ეთიკის კომისიას თავისივე არქივიდან სრულად გამოეთხოვა №032/21 დისციპლინური საქმის მასალები. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული საქმის მასალები კომისიას დაარწმუნებდა, რომ №052/24 დისციპლინურ საქმეზე წარმოდგენილი საჩივარი დაუშვებელი იყო. **კომისიამ არ დააკმაყოფილა მოპასუხე ადვოკატის შუამდგომლობა. კომისიის განმარტებით,** №032/21 დისციპლინური საქმის მასალების გამოთხოვა არარელევანტური იყო, ვინაიდან მას კავშირი არ ქონდა №052/24 დისციპლინურ საქმესთან და ამავე საქმეზე წარმოდგენილი საჩივრის დასაშვებობის შემოწმებასთან.

3.4.7 2025 წლის 04 აპრილს, ნ. გ--მ, ეთიკის კომისიას წარუდგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა 2025 წლის 11 აპრილს, 16:00 საათზე ჩანიშნული სხდომის გადადება. განცხადებას თან ერთვის ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლო უწყება, რომლის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2025 წლის 11 აპრილს, 16:00 საათზე, ადვოკატ ნ. გ--ის მონაწილეობით ჩანიშნული იყო სასამართლო პროცესი. ამასთან, ადვოკატი ეთიკის კომისიას სთხოვს მომდევნო სხდომის თარიღად განესაზღვრა: 16 აპრილი, 23 აპრილი, პირველი მაისი ან 02 მაისი. **კომისიამ იმსჯელა სხდომის გადადების შესახებ შუამდგომლობაზე და არ დააკმაყოფილა, ვინაიდან სხდომაზე მოპასუხე ადვოკატი წარმოდგენილი იყო მისი ინტერესების დამცველი სამი ადვოკატით და ჰქონდა შესაძლებლობა თავადაც გამოცხადებულიყო, თუ გამოიყენებდა ეთიკის კომისიის მიერ მისთვის გადაცემულ ცნობას,** (ეთიკის კომისიამ ადვოკატს 11 აპრილს, 16:00 საათზე დანიშნული სხდომის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა 2025 წლის 28 მარტის სხდომაზე განუმარტა, რომ გადაეგზავნებოდა ეთიკის კომისიის 11 აპრილის, 16:00 საათზე დანიშნულ სხდომაში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში, სურვილისამებრ შეძლებდა სასამართლო სხდომის გადადების მიზნით. ცნობა ადვოკატს ჩაჰბარდა 2025 წლის 02 აპრილს ფოსტის საშუალებით, ხოლო 2025 წლის 28 მარტს გადაეგზავნა ელექტრონულად).

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებით, №158/19 დისციპლინურ საქმეზე დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. გ--ესა და ს. ბ--ს შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. მოპასუხე ადვოკატი წარმოადგენდა ს. ბ--სა და ლ. ბ--ს ინტერესებს №2/2058-16 სამოქალაქო საქმეზე, რომლის დავის საგანი იყო ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საკუთრების უფლების აღიარება საცხოვრებელ ფართზე, მდებარე: თბილისი, არგვეთის ქუჩა №21. საჩივრის ავტორის წარმომადგენლობისას, ადვოკატ ნ. გ-ეს მიღებული ჰქონდა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მან არ დაიცვა და ს. ბ--ს ინტერესების საზიანოდ გამოიყენა ახალ სამოქალაქო დავაში, №2/36758-18 საქმეზე, რომელიც ეხებოდა ს. ბ--ს დეიდის, ლ. ბ--ს ანდერძის ნამდვილობის აღიარებას და

დაკავშირებული იყო თბილისში, არგვეთის ქუჩა №21-ში მდებარე საცხოვრებელ ფართთან, ლ ბ--ს საკუთრების ნაწილში. საკუთრების უფლების აღიარებისა და ანდერძის ნამდვილობის შესახებ დავების ურთიერთკავშირის დადგენის საფუძველზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2023 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებით, №158/19 დისციპლინურ საქმეზე დაადგინა ადვოკატ ნ. გ--ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, კერძოდ, ს. ბ--ს, როგორც მისი ყოფილი კლიენტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და კლიენტისთვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებების დარღვევა. ადვოკატ ნ. გ--ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

4.1 ადვოკატი ნ. გ-ე 2024 წლის 02 ივლისსა და 06 აგვისტოს, გამოცხადდა №2ბ/5985-23 საქმეზე (სამართალწარმოების პირველ ინსტანციაში საქმის ნომერი იყო - №2/36758-18) ჩანიშნულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომებზე და გააგრძელა ს. ბ--ს, მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვა.

5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №052/24 დადგინდა ადვოკატ ნ. გ-ის /სიითი №---/ მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.

6. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ნ. გ--მ ეთიკის კომისიის მიერ №158/19 დისციპლინურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის მიუხედავად, №2ბ/5985-23 სამოქალაქო საქმეზე სამართალწარმოების აპელაციის ეტაპზე გააგრძელა იგივე ქმედება - ამჟამინდელი კლიენტის ინტერესების დაცვა, ყოფილი კლიენტის - ს. ბ--ს ინტერესების საწინააღმდეგოდ, რითაც მან დაარღვია კეთილსინდისიერებისა და ყოფილი კლიენტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულებები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი და მე-8 მუხლის პირველი პუნქტი; ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

ადვოკატის საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის პირველი მაისის №0502/25 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, კანონით დადგენილ ვადის დაცვით, გაასაჩივრა ადვოკატმა ნ. გ--მ, რომელმაც უდანაშაულოდ ცნობა და საქმისწარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

7.1 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საქმე ეთიკის კომისიის ისეთმა შემადგენლობამ განიხილა, რომელთაც მოცემულ დავის განხილვაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. მისი ვარაუდით, ს. ბ--ს მხარდამჭერს თავად კ. გ--ა და მისი გუნდის წევრებმა შეატანინეს მის წინააღმდეგ საჩივარი, ვინაიდან კ. გ--ი, ე. მ-ე, მ. ც-ე, ს. ს--ე, ე.

გ--ე, მ. ნ--ე, ო. კ-–ი არიან მასთან დაპირისპირებული პირები სხვადასხვა საქმიდან.

7.2 ადვოკატის განმარტებით, ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვისა და მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, რითაც დაარღვია კანონი.

7.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიამ უკანონოდ არ დააკმაყოფილა სხდომის გადადების შესახებ მისი შუამდგომლობა და სხდომა გამართა იმ დროს, როცა მას არ ჰქონდა საშუალება, განხილვაში მიეღო მონაწილეობა, ასევე სხდომა ჩატარდა არასამუშაო საათებში, მაშინ, როდესაც იგი წინააღმდეგი იყო სხდომის არასამუშაო დროს გაგრძელების. მისი კატეგორიული უარის მიუხედავად, სხდომა გაიმართა დისტანციურად, და არ იყო დარწმუნებული, რომ დაცული იქნებოდა კონფიდენციალურობა, ვინაიდან არ ექნებოდა შესაძლებლობა, დაენახა და ეკონტროლებინა დისტანციურად ვინ იღებდა აღნიშნულ სხდომაში მონაწილეობას.

7.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ს. ბ--სთან გაფორმებული ჰქონდა მინდობილობა მასთან შეთანხმების გარეშე. საადვოკატო ბიურო „ათენას“ საადვოკატო საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ლ. ბ--სთან (რომელიც იყო ს. ბ--ს დეიდა) და ს. ბ--თან, რომელიც შემდგომში გაუქმდა. მან აწ გარდაცვლილ ლ. ბ--ს თხოვნით მისი წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, მოამზადა სარჩელი ს. ბ---ს სახელით, რომელიც გადასცა ლ. ბ--ს წარდგენილ დოკუმენტებთან ერთად. დავა ეხებოდა მეზობელ ჩ--ს მიერ, აწ/ გარდაცვლილ ლ. ბ--ს დის ქონების მითვისებას და ჩაკეტილი სადარბაზო კარის გახსნას. მითითებული სარჩელი სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში. 2018 წელს კი გარდაიცვალა ლ. ბ-- და მან დატოვა შინაურული ანდერძი თავისი მეგობარის, ო. ს-ს სახელზე, რომლის ადვოკატიც იყო ლ. ბ--ს პარალელურად.

7.5 ადვოკატის განმარტებით, ს. ბ-მა და მისმა მხარდამჭერმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობაზე, ხოლო მან, როგორც ანდერძით მემკვიდრეობის მიმღები პირის წარმომადგენელმა, შეიტანა სარჩელი ანდერძის ნამდვილობისა და გარდაცვლილი პირის ქონებაზე ანდერძის მიმღების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. რის შემდეგაც ს. ბ--ს მხარდამჭერმა, მიმართა ეთიკის კომისიას საჩივრით, რომ მან ს. ბ--ს არ დაუბრუნა დოკუმენტები და მ. კ-–სა და ო. ს–-ს ინტერესების დაცვით მომჩივანთან ინტერესთა კონფლიქტი ჰქონდა. აღნიშნული საჩივარი ეთიკის კომისიამ განიხილა საპროცესო ნორმების დარღვევით და მისცა შენიშვნა. ვინაიდან გადაწყვეტილებით დადგენილი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა არ წარმოადგენდა სახდელს, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ვერ გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოში მონაწილეობის გამო ს. ბ--მა კვლავ მიმართა ეთიკის კომისიას საჩივრით, რის შემდგომაც მის წინააღმდეგ უკვე განხილულ საქმეზე, უკანონოდ, ეთიკის კომისიის მიერ მეორედ აღიძრა დისციპლინური დევნა.

7.6 ადვოკატის მოსაზრებით, ინტერესთა კონფლიქტად ვერ მიიჩნევა ის ფაქტი, რომ ადვოკატი სიცოცხლეში იცავდა გარდაცვლილის ინტერესებს, მოგვიანებით კი მონაწილეობდა გარდაცვლილის ანდერძის დამცველად. გარდაცვლილის სიცოცხლეში

ანდერძი სადავო არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, გარდაცვლილის ქონება არ ყოფილა დავის საგანი გარდაცვლილსა და დისშვილს შორის, რის გამოც ადვოკატსა და გარდაცვლილის დისშვილს შორის ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს ობიექტური კავშირი წარსულსა და მიმდინარე საქმეს შორის. ინტერესთა კონფლიქტი ვერ წარმოიშობა მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიმე მხარეს ჰქონდა პრეტენზია. ადვოკატს, რომელმაც ადრე შეიძლება იურიდიული მომსახურება გაუწია პირს, არ ეკრძალება სხვა პირის წარმომადგენლობა, თუკი წინა საქმე არ არის არსებითად დაკავშირებული მიმდინარე დავასთან. ასევე, წინა წარმომადგენლობის დროს მას არ მიუღია არსებითი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ზიანს მიაყენებდა წინა კლიენტს. ვინაიდან ს. ბ--ს სპონტანურად გაუჩნდა პრეტენზია ქონებაზე, არ ნიშნავს ავტომატურად ინტერესთა კონფლიქტს, თუ ეს პრეტენზია არ ეფუძნება წინა წარმომადგენლობას მის საქმეში. ანდერძის ნამდვილობის დამტკიცება ინტერესთა კონფლიქტის საგანი ვერ იქნება, ანდერძის ნამდვილობის დადგენა არის ცალკე დამოუკიდებელი სამართლებრივი პროცესი, რომელიც არ უკავშირდება აღნიშნულ სამეზობლო დავას. შესაბამისად, ფაქტობრივ გარემოებების გათვალისწინებით არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, რადგან მან მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელ საქმეებში (ადრე სამეზობლო დავაში, ამჯერად ანდერძის დაცვაში), ამდენად, არ არსებობდა კავშირი მოცემულ საქმეებში არც შინაარსობრივად და არც სამართლებრივად, რადგან იგი არ ფლობს და არც ფლობდა კონფიდენციალურ ინფორმაციას ს. ბ--ზე, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მის საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, ეთიკის კომისიის გაფრთხილება შეიძლება შეფასდეს, როგორც გადაჭარბებული და არაგონივრული.

7.7 საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, უდანაშაულოდ ცნობა და საქმისწარმოების შეწყვეტა. მისი განმარტებით, ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო არა კანონზე დაყრდნობით, არამედ პირადი სიმპათია-ანტიპათიის საფუძველზე, რაც არის არაეთიკური და უკანონო.

8. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ნ. გ--ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის პირველი მაისის №052/24 გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

9. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის

პირველი ნაწილის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

10. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ამავე კანონის მე-5 მუხლის „ა“, ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ხოლო 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5–მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. მოცემული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადვოკატმა ზუსტად და განუხრელად უნდა დაიცვას ეთიკის ნორმები, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები რაც უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

11. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის -გაფრთხილების მართლზომიერება. ამ მხრივ კი, შესაფასებელია ადვოკატ ნ. გ--ს მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტის არსებობა, კერძოდ, დაირღვა თუ არა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და პროფესიული ეთიკური ვალდებულებები.

12. *სადისციპლინო პალატა მიუთითებს დისციპლინური გადაცდომის მაკვალიფიცირებელ სამართლებრივ ნორმებზე. კერძოდ,* „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5 (ა)); ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5). „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1); „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

13. პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ ადვოკატ-კლიენტის **ურთიერთობის საწყისი წინაპირობაა, კლიენტის წინაშე ადვოკატების ერთგულების ვალდებულების არსებობა. ერთგულების ვალდებულება მოიცავს კლიენტისათვის დამოუკიდებელი პროფესიული რჩევის მიცემას. ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მას აკისრია კლიენტისადმი ერთგულების, მისი ინტერესების პრიორიტეტულობის,**

კონფიდენციალურობის ეთიკური ვალდებულება. შესაბამისად, როდესაც ადვოკატის ზემოაღნიშნული ეთიკური ვალდებულებები ერთი კლიენტის მიმართ უპირისპირდება ადვოკატის ვალდებულებებს სხვა კლიენტის მიმართ, წარმოიქმნება კონფლიქტი (ე. გასიტაშვილი, თ. ზამბახიძე და სხვები „იურიდიული ეთიკა“, თბილისი 2021, გვ.183) ადვოკატის კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულებას ექმნება საფრთხე, მაშინ, როდესაც არსებობს სხვა კლიენტი, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება აღნიშნული კლიენტის ინტერესებს.

14. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს. ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვა და/ან ინტერესთა კონფლიქტი მჭიდროდ უკავშირდება კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ეთიკურ ვალდებულებას, რადგან ასეთ დროს კლიენტის ინტერესის ხარჯზე ხდება ადვოკატის, ადვოკატის სხვა კლიენტის ან ადვოკატთან დაკავშირებული სხვა პირის ინტერესების გათვალისწინება. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად აზიანებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობას, რადგან კლიენტისადმი ერთგულებისა და ლოიალობის ვალდებულება საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი ღერძია. **(იურიდიული ეთიკა, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2021, რედ. ანა ლორია).**

15. **საერთაშორისო სტანდარტით ევროპის ადვოკატთა საბჭოს (CCEB) ქცევის კოდექსი ადგენს, რომ ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ახალი კლიენტის წარმომადგენლობისაგან, თუ არსებობს რისკი, რომ ძველი კლიენტის კონფიდენციალობა დაირღვევა, ახალ კლიენტს მიეცემა უსამართლო უპირატესობა ან ძველი კლიენტის ინტერესები დაუპირისპირდება ახალი კლიენტის ინტერესს. საკამარისია მისი წარმოშობის საფრთხე, რათა ადვოკატმა თავი აარიდოს წარმომადგენლობას (მოლიტერნო და სხვები „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები“ თარგმანი, თბილისი 2014, გვ.146-47).**

16. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას“. ასევე ეთიკის კოდექსის თანახმად, „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა თუ ადვოკატის მიერ განსახორციელებელ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ. ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს თავი უნდა აარიდოს და კლიენტი ისე წარმოადგინოს, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და

დროის არსებობის შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა კონფიდენციალურია. კლიენტი ენდობა ადვოკატს და მას, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირს, უზიარებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინფორმაციას. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია და არ გაამჟღავნოს იგი. (№სსდ-10-24). **ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისათვის, აუცილებელია არა თავად ვალდებულების დარღვევის არსებობა, არამედ იმის დადასტურება, რომ „საფრთხე შეექმნება“ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას, პროფესიულ საიდუმლოებას ან ადვოკატის მიერ კვალიფიციურ მომსახურების გაწევას. ამდენად, აუცილებელი არ არის იმის დადასტურება, რომ ადვოკატმა კლიენტს არ გაუწია კვალიფიციური მომსახურება ან ადვოკატმა დაარღვია კონფიდენციალობის ვალდებულება. ინტერესთა კონფლიქტის დადგენისათვის მთავარია არსებობდეს ამ ვალდებულების დარღვევის საფრთხე (ე.გასიტაშვილი, თ. ზამბახიძე და სხვები „იურიდიული ეთიკა“ თბილისი 2021, გვ. 180-181).**

17. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ საჩივრის ავტორი ადვოკატი ნ. გ-ე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია სიითი ნომრით №---; შესაბამისად, მასზე ვრცელდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები და გააჩნია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება.

18. სადისციპლინო პალატა მიუთითებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, №158/19 დისციპლინურ საქმე, სადაც ეთიკის კომისიამ დაადგინა, ადვოკატ ნ. გ-ს მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. კერძოდ, ს. ბ--ს, როგორც მისი ყოფილი კლიენტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და კლიენტისთვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებების დარღვევა. ადვოკატ ნ. გ--ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოებები: ადვოკატ ნ. გ--სა და ს. ბ--ს შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. მოპასუხე ადვოკატი წარმოადგენდა ს. ბ--სა და ლ. ბ--ს ინტერესებს №2/2058-16 სამოქალაქო საქმეზე, რომლის დავის საგანი იყო ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საკუთრების უფლების აღიარება საცხოვრებელ ფართზე, მდებარე: ქ. თბილისი, არგვეთის ქუჩა N21. საჩივრის ავტორის წარმომადგენლობისას, ადვოკატ ნ. გ--ეს მიღებული ჰქონდა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მან არ დაიცვა და ს. ბ--ს ინტერესების საზიანოდ გამოიყენა ახალ სამოქალაქო დავაში, №2/36758-18 საქმეზე, რომელიც შეეხება ს. ბ--ს დეიდის, ლ. ბ--ს ანდერძის ნამდვილობის აღიარებას და დაკავშირებულია ქ. თბილისი, არგვეთის ქუჩა №21-ში მდებარე საცხოვრებელ ფართთან, ლ. ბ--ს საკუთრების ნაწილში.

19. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2023 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე მიღებული სარეკომენდაციო ბარათის მიუხედავად, ადვოკატი ნ. გ--ე 2024 წლის 02 ივლისსა და 06 აგვისტოს, გამოცხადდა №2ბ/5985-23 საქმეზე (სამართალწარმოების პირველ ინსტანციაში საქმის ნომერი იყო - №2/36758-18) ჩანიშნულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომებზე და გააგრძელა ს. ბ--ს, მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვა.

20. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია შეეხება იმ გარემოებას, რომ იგი არ ეთანხმებოდა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებას, მაგრამ ვერ გაასაჩივრა იგი, ვინაიდან სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა წარმოადგენდა დისციპლინური ზემოქმედების იმგვარ ღონისძიებას, რომლის გასაჩივრებას კანონი არ ითვალისწინებს. კერძოდ, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ **ს. ბ--ს მიმართ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და კლიენტისთვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები არ დაურღვევია, რადგან ს. ბ--ი მისი კლიენტი არასდროს ყოფილა და მის წარმომადგენლად, სამეზობლო დავაში ლ. ბ-ს თხოვნით, ფორმალურად იყო მითითებული და ფორმალურადვე ჰქონდა გაფორმებული მინდობილობაც.** ადვოკატის განცხადებით, არასწორად დადგინდა სამეზობლო და სამემკვიდრეო სასამართლო დავების ურთიერთდაკავშირებულობის საკითხიც, ადვოკატის პოზიციით, შეუძლებელია აწ გარდაცვლილი ლ. ბ--ს ანდერძის ნამდვილობის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო დავაში მის წარმომადგენლობას წარმოეშვა ს. ბ--ს ინტერესებთან კონფლიქტი, რადგან იგი არ იყო ლ. ბ--ს კანონისმიერ პირველი რიგის მემკვიდრე, ხოლო, რაც შეეხება დისციპლინური წარმოების ფარგლებში, მისთვის გადაცემულ კერძო სარეკომენდაციო ბარათს, ზოგადი ხასიათის იყო და მასში კონკრეტულად არ იყო მითითებული, რომ ადვოკატ ნ. გ--ს კონკრეტულ საქმეზე წარმომადგენლობით ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვა.

21. მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისიამ პრეიუდიციად მიიჩნია №158/19 დისციპლინური წარმოების ფარგლებში, ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი შემდეგი ფაქტები:

21.1. ადვოკატ ნ. გ--ესა და ს. ბ---ს შორის 2014 წლიდან 2016 წლამდე არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთიერთობა. საქმეში წარმოდგენილია 2014 წლის 01 ნოემბრის №8 ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია ერთის მხრივ, ნ. გ--ს, ც. ა--ს და ჯ. ხ--ს, ხოლო მეორე მხრივ, ლ. ბ--სა და ს. ბ--ს შორის. ასევე, წარმოდგენილია 2014 წლის 18 ნოემბრის №141262324 მინდობილობა, რომლის თანახმად ს. ბ--მა ნ. გ--ს, ჯ. ხ--ს და ც. ა--ს მიანიჭა რწმუნებულება განუსაზღვრელი ვადით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ ს. ბ--ი ადვოკატის მომსახურებისთვის იხდიდა საზღაურს. მომჩივანის მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიშსწორების ქვითრებით, რითიც დასტურდება ს. ბ--ს მიერ საადვოკატო ბიურო „ათენასათვის“ და ადვოკატ ნ. გ--თვის თანხების გადარიცხვა. (2014 წლის 5 დეკემბრისა და 25 ნოემბრის; 2015 წლის 14 დეკემბრის, 5 მაისის, 5 ივნისისა და 20 ივნისის; 2016 წლის 25 ივლისის, 18 აგვისტოს, 21 სექტემბრის, 24 ოქტომბრის, 17 ნოემბრისა და 2017 წლის 3 ოქტომბრის სალაროს შემოსავლის ორდერები).

21.2. ადვოკატი 2016 წელს წარმოადგენდა ს. ბ--სა და ლ. ბ--ს სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე №2/2058-16. მოცემულ საქმეზე დავის საგანი იყო ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საკუთრების უფლების აღიარება საცხოვრებელ ფართზე (სადავო ქონების მისამართია თბილისი, არაგვის ქუჩა №21). აღნიშნული საქმის ფარგლებში, ლ. ბ--მ თავისი მოთხოვნა

დაუთმო ს. ბ--ს 2016 წლის 16 იანვარს. რაზეც საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლო 05.02.2016 წლის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნის მიერ 09.02.2016 წელს შედგენილი სატელეფონო საუბრის აქტი ს. ბ--ს წარმომადგენელთან - ნ. გ--თან; (2014 წლის 01 ნოემბრის №8 ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე; 2014 წლის 18 ნოემბრის №141262324 მინდობილობა; 2016 წლის 26 იანვრის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება; სარჩელი საქმეზე №2/2058-16; თბილისის საქალაქო სასამართლო 05.02.2016 წლის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, საქმეზე №2/2058-16; თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნის მიერ 09.02.2016 წელს შედგენილი სატელეფონო საუბრის აქტი ს. ბ--ს წარმომადგენელთან - ნ. გ--თან საქმეზე №2/2058-16; 2014 წლის 5 დეკემბრისა და 25 ნოემბრის; 2015 წლის 14 დეკემბრის, 5 მაისის, 5 ივნისისა და 20 ივნისის; 2016 წლის 25 ივლისის, 18 აგვისტოს, 21 სექტემბრის, 24 ოქტომბრის, 17 ნოემბრისა და 2017 წლის 3 ოქტომბრის სალაროს შემოსავლის ორდერები.)

21.3. ს. ბ--ი მხარდაჭერის მიმღები პირია. მაშინ, როდესაც ადვოკატი ნ. გ--ე აწარმოებდა ს. ბ--ს საქმეს, ს. ბ--ზე ზრუნავდა დეიდა ლ. ბ--ა; ლ. ბ--ს გარდაცვალების შემდეგ, 2018 წლის 18 აპრილიდან, აღნიშნულ მოვალეობას ასრულებდა ბიძაშვილი - დ. ლ--ა, დ. ლ-ს გარდაცვალების შემდეგ კი ნათესავი - ლ. ყ--ი. (2018 წლის 27 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნა №5006165818 ს. ბ--ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; ცნობა ს. ბ--ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 05 მარტის №2/21009-18 გადაწყვეტილება, დ. ლ--ს ს. ბ--ს მხარდამჭერად დანიშვნის შესახებ; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ივლისის №2/13801-21 გადაწყვეტილება, ლ. ყ—ს ს. ბ--ს მხარდამჭერად დანიშვნის შესახებ).

21.4. ს. ბ--ი და ლ. ბ--ა ცხოვრობდნენ წინაპრების დანაშთ ქონებაში, მისამართზე თბილისი, არაგვის ქუჩა №21, გამიჯნული წილობრივი მონაცემებით. (იხ. №882008026671 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

21.5. ს. ბ---სა და ადვოკატ ნ. გ---ს შორის საადვოკატო ურთიერთობა დასრულდა 2016 წლის მარტში ლ. ბ--ს მიმართვის საფუძველზე, ნ. გ--ს საადვოკატო ბიურო „ათენა“-ს ინიციატივით. ს. ბ--მა ჩაიბარა ხელშეკრულება ურთიერთობის დასრულების შესახებ. ბიუროს გადაწყვეტილებით, ხელშეკრულება გაუქმდა ს. ბ--ს ნაწილში და ბიუროს კლიენტად დარჩა მხოლოდ ლ. ბ--ა. (ამხანაგობა საადვოკატო ბიურო „ათენა“-ს მიერ მიღებული 2016 წლის **5** მარტის გადაწყვეტილება, №ნ/გ-ს/ბ-ს; ჯ. ხ—ს, გ. ბ--ის, ქ. ჯ-—ს, მ. ძ--ს განმარტებები; ამხანაგობა საადვოკატო ბიურო „ათენა“-ს 2016 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება, ხელშეკრულების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ; ს. ბ---ს ხელწერილი.)

21.6. ადვოკატმა ნ. გ--მ ს. ბ--ს საქმეზე დოკუმენტაცია მიიღო ლ. ბ--სგან, რომელიც საადვოკატო ბიუროში ხშირად მიდიოდა ს. ბ--თან ერთად და მის საქმეებს უწევდა მეთვალყურეობას, ს. ბ--ს ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ადვოკატმა ნ. გ--მ დოკუმენტაციის ნაწილი დაუბრუნა ლ. ბ--ს. (04.03.2016 წლის ხელწერილი, რომელსაც

ხელს აწერს ლ. ბ--ა).

21.7. ადვოკატი ნ. გ--ე 2018 წლიდან, ლ. ბ--ს ანდერძის (რომელიც მის საცხოვრებელ მისამართზე ინახებოდა) საფუძველზე იცავს მ. კ--ს (ო. ს--საგან მოთხოვნის დათმობის საფუძველზე მოთხოვნის უფლების მიმღები პირი) ინტერესებს 2018 წლის 20 დეკემბრის სამოქალაქო საქმეზე №2/36758-18, სადაც მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა ს. ბ--ი. აღნიშნულ საქმეზე დავის საგანი იყო ანდერძის ნამდვილობის აღიარება და უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა. (უძრავი ქონება მდებარეობს მისამართზე: თბილისი, არაგვის ქუჩა №21.სამოქალაქო საქმე №2/36758-18).

21.8. ადვოკატმა ნ. გ--მ 2019 წლის 25 აპრილს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, კლიენტის - მოსარჩელე ო. ს–-საგან მოთხოვნის უფლების მიმღები პირის მ. კ–-ს სახელით, სადაც ითხოვდა მოპასუხეების, მათ შორის ს. ბ--ს დავალებოდა, წარმოედგინა ლ. ბ--სთან ნათესაური კავშირის, კერძოდ დისშვილობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ადვოკატი ლ. ბ--ა და ს. ბ--ს შორის არსებულ ნათესაურ კავშირს სადავოდ ხდიდა, რაც დასტურდება 2019 წლის 05 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მის მიერ წარდგენილ №2/36758 განცხადება-შუამდგომლობით. (ადვოკატ ნ. გ--ს განცხადება - შუამდგომლობა საქმეზე №2/36758; ადვოკატ ნ. გ--ს 2019 წლის 08 მაისის განცხადება-შუამდგომლობა; ადვოკატმა ნ. გ--მ 2022 წლის 15 თებერვალს მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა ს. ბ--ს მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობის გაუქმება).

21.9. ადვოკატი ნ. გ--ე ფლობდა გარდაცვლილი კლიენტის, ლ. ბ--ს დოკუმენტაციას, მათ შორის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას, სადაც მხარეები არიან ლ. ბ--ა ს. ბ--ი. ადვოკატი ნ. გ--ე სხვადასხვა დროს საადვოკატო მომსახურებას უწევდა ო. ს–-ს, ლ. ბ--ს და მ. კ–-ს, რომელთა ინტერესებიც იყო თანხვედრაში. (ო. ს–-ს მიერ ნ. გ--ს მიმართ 2007 წლის 18 აგვისტოს გაცემული მინდობილობა; ო. ს–-ს მიერ ნ. გ--ს მიმართ 2010 წლის 26 ივლისს გაცემული მინდობილობა; ო. ს–-ს მიერ ნ. გ--ს მიმართ 2010 წელს გაცემული მინდობილობა; ლ. ბ--ს მიერ ნ. გ--ს მიმართ 2014 წლის 12 ნოემბერს გაცემული მინდობილობა; მ. კ–-ს მიერ ნ. გ--ს მიმართ 2016 წელს გაცემული მინდობილობა; ო. ს--ს მიერ ადვოკატ ნ. გ--ს მიმართ 2018 წლის 9 ივლისს გაცემული მინდობილობა).

22.სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე უდავო ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორეში ეჭვის შეტანის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებულ უდავო ფაქტობრივ გარემოებებს.

23. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, ადვოკატი ნ. გ--ე ვალდებული იყო, არსებული ან ყოფილი კლიენტის მიმართ, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა კლიენტებთან საადვოკატო საქმიანობა, რათა საფრთხე არ შეჰქმნოდა კლიენტის მიმართ არსებულ პროფესიულ ვალდებულებას. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სადისციპლინო პალატა იზიარებს

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებულ მსჯელობას, რომ ადვოკატს უფლება არ აქვს, პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი, არათუ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა **კონფლიქტი, არამედ მაშინაც, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.**

24. სადისციპლინო პალატა, ასევე აღნიშნავს, რომ თავად კონფლიქტის წარმოქმნა არ არის ეთიკური გადაცდომა. მთავარია, ადვოკატმა სწორად და დროულად მოახდინოს მისი იდენტიფიცირება, რათა თავიდან აირიდოს ეთიკური ვალდებულების დარღვევა. **ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისათვის, მნიშვნელობა არ აქვს კონფლიქტის გამომწვევი რომელიმე ეთიკური ვალდებულება დაირღვა თუ არა. მთავარია დადგინდეს გონივრული საფრთხე იმისა, რომ ადვოკატის მიერ კონკრეტულ საქმეზე წარმომადგენლობის განხორციელებისას, შესაძლოა, დაირღვეს ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები, რომელიც მას აკისრია სხვა კლიენტებისა თუ მესამე პირების მიმართ.**

25. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, იმ მოცემულობაში, როცა .- ბ--ს <u>მიერ დატოვებული ანდერძის ბათილად ცნობის, სამკვიდრო ქონების ½ ნაწილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის დავაში მოსარჩელე ს. ბ--ს მოწინააღმდეგე მხარის ო. ს—ს ინტერესების დაცვა განახორციელა ნ. გ--მ, მის მიერ დაირღვა</u> **ძველი კლიენტის ს. ბ--ს ინტერესების პრიორიტეტულობის ეთიკური ვალდებულება. ამგვარად, წარმოიშვა ძველი კლიენტის კონფიდენციალობის დარღვევის საფრთხე(რისკი), რადგან ძველი კლიენტის ინტერესები დაუპირისპირდა ახალი კლიენტის ო. ს—ს ინტერესს. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, საკმარისი იყო ამგვარი საფრთხის წარმოშობის ვარაუდი, რომ მომჩივანს შეეწყვიტა საქმის წარმოება, რომელზეც იგი ახალი კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა.** როგორც პალატამ უკვე განმარტა, **ინტერესთა კონფლიქტი მჭიდროდ უკავშირდება კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ეთიკურ ვალდებულებას, რადგან ასეთ დროს კლიენტის ინტერესის ხარჯზე ხდება ადვოკატის, ადვოკატის სხვა კლიენტის ან ადვოკატთან დაკავშირებული სხვა პირის ინტერესების გათვალისწინება, აღნიშნული კი მნიშვნელოვნად აზიანებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობას, რადგან კლიენტისადმი ერთგულებისა და ლოიალობის ვალდებულება საადვოკატო საქმიანობის კეთილსინდისიერად განხორციელებისთვის გადამწყვეტი ფაქტორია.**

26. პალატა ვერ გაიზიარებს მომჩივანის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სარეკომენდაციო ბარათი ზოგადი ხასიათის იყო და მასში პირდაპირ არ იყო მითითებული მისი მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, რის გამოც მან სააპელაციო სასამართლოში გააგრძელა ს. ბ--ს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლობა. სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა ადვოკატ ნ. გ--ს მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატს დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, ადვოკატს მიეცა რეკომენდაცია, შეეწყვიტა წარმომადგენლობა, *„როდესაც თქვენს ორ კლიენტს ან ყოფილ და ახალ კლიენტს შორის წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი, საქმეზე, სადაც ორივე მათგანისაგან ფლობთ ინფორმაციას, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ ორივე მათგანის მომსახურება“.*

მიუხედავად სარეკომენდაციო ბარათის ფორმალური ზოგადი ხასიათისა, ადვოკატისათვის ცალსახად ცნობილი იყო, რომ კომისიამ სწორედ ს. ბ--ს საქმეში დაადგინა ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, ადვოკატის კვლავ მონაწილეობა სააპელაციო სასამართლო პროცესში წარმოადგენდა სარეკომენდაციო ბარათის შეგნებულ უგულებელყოფას.

27. რაც შეეხება ადვოკატის პრეტენზიას ეთიკის კომისიის სხდომების დისტანციურად გამართვასთან დაკავშირებით, სადისციპლინო პალატა უთითებს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 28 მუხლის მე-3 პუნქტზე და აღნიშნავს, რომ საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით კოლეგიას ახსნა-განმარტების მიღება შეუძლია დისტანციური საშუალებით, ხოლო, რაც შეეხება ეთიკის კომისიის სხდომების წესს, ამ შემთხვევაში დებულებაში არ არის კონკრეტულად განსაზღვრული ეთიკის კომისიის სხდომის გამართვის ფორმატი. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, საქმისწარმოების დისტანციურ ფორმატს არაერთი დადებითი მხარე აქვს, როგორებიცაა უსაფრთხო გარემო, მხარეთა დროისა და რესურსის დაზოგვა, ნებისმიერი ადგილიდან პროცესის ხელმისაწვდომობა და ა. შ. ყოველივე ეს ფართოდ დადგენილი პრაქტიკაა საერთო სასამართლოების სისტემაში, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის პრეტენზია და სადისციპლინო პალატა მას ვერ გაიზიარებს.

28. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოცემული საქმე განიხილა ეთიკის კომისიის არაკანონიერმა შემადგენლობამ, ვინაიდან, სხვადასხვა საქმიდან გამომდინარე პირადი დაპირისპირება ჰქონდა კ. გ--თან, მ. ნ--თან, ე. მ--თან, მ. ც--თან, ს. ს--თან, ე. გ--თან და ო. კ--თან. საჩივრის ავტორი ვერ მიუთითებს იმგვარ კონკრეტულ გარემოებებზე, რომელთა არსებობა შექმნიდა ადვოკატთა „დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-11 მუხლით გათვალისწინებულ აცილების რომელიმე წინაპირობას/საფუძველს. რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ მის მიმართ წარმოებულ სხვა დისციპლინურ საქმეში ეთიკის კომისიის წევრებს კ. გ–სა და მ. ნ--ს მონაწილეობა არ მიუღიათ (№032/21) საქმის განხილვაში, არ ადასტურებს მოცემული საქმის განხილვაში მათი მონაწილეობის არაკანონიერებას. სადისციპლინო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სხვა დისციპლინურ საქმეში, ეთიკის კომისიის წევრ მ. ნ--ს და ადვოკატ თ. ქ---თან (მომჩივანი ეთიკის კომისიაში) არსებული ახლო მეგობრული ურთიერთობის გამო, შეიქმნა ვარაუდი საქმის განხილვის პროცესში მის მიკერძოებასთან დაკავშირებით, ხოლო ასეთი ვითარება, მოცემულ საქმეში არ გამოკვეთილა.

29. პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე, რაც ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუმცა იგი არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად *(იხ. „ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ,“ #7932/03; Va№ de Hurk v. №etherla№ds, par.61, Garcia Ruiz v. Spai№ [GC] par.26; Jah№ke a№d Le№oble v Fra№ce (dec.); Perez v Fra№ce [GC], par. 81).*

30. სადისციპლინო პალატა, აღნიშნავს, რომ მიუხედავად ადვოკატის თავისუფალი

პროფესიისა, იგი წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის წევრს და მისთვის სავალდებულოა, დაიცვას ეთიკის კოდექსის ნორმეები, გაითვალისწინოს სარეკომენდაციო ბარათი და იზრუნოს პროფესიულ რეპუტაციაზე.

31. პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის მოსაზრებას, რომ ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეს, განსაკუთრებული ვალდებულება აქვს, იზრუნოს პროფესიულ რეპუტაციაზე და პროფესიის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერებაზე. ადვოკატი უნდა იყოს მისაბაძი პირი, ვინც კანონიერების, თანასწორობის, შემწყნარებლობის პრინციპებს უწევს პროპაგანდას.

32.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. გ--ს მიერ დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი** *(ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები),* **მე-8 მუხლის პირველი პუნქტი** *(ადვოკატი ვალდებულია, არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას),* ასევე, **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი** *(ადვოკატს უფლება არა აქვს, პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე),* **მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი ბ) ქვეპუნქტი** (ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევაში მაშინ, როდესაც *კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან*), **მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი** (*ადვოკატი ვალდებულია, შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმისწარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეებზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალურობის ხელყოფის საფრთხე) და* **მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი** *(ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა).*

33. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, დოქტრინის მიხედვით, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დადების მიზანია საზოგადოების დაცვა, სამართლებრივი სისტემის მთლიანობის დაცვა, მართლმსაჯულების სამართლიანად უზრუნველყოფა და სხვა ადვოკატების მსგავსი გადაცდომისგან შეკავება *(მაგ. Gillette v. EdisoN, 593 F. Supp. 2d 1063, 1066 (D.N.D. 2009)).*

34. სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ნ. გ--ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია.

35.სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - გაფრთხილებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომების შინაარსი, სიმძიმე და დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია.

36.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ ნ. გ--ს საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ნ. გ--ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 1 მაისის №052/24 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **თეა ძიმისტარაშვილი**

მოსამართლეები: **მირანდა ერემაძე**

გოჩა აბუსერიძე